საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/37

ქ. ბათუმი 14 მაისი, 2021 წ.

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებისა და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის მოხსენებითი ბარათის (MES 2 21 0000414753, 27.04.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებით ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1) **თამარ სირაძე** - ბსუ-ს პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
   2) **ჟუჟუნა გუმბარიძე -** ბსუ-ს ასოც. პროფესორი, წევრი;
   3) **თათია ნაკაშიძე-მახარაძე** - ბსუ-ს ასისტ. პროფესორი, კომისიის მდივანი.

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2021 წლის 17 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით** (კონკურსის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს **2021 წლის 18 მაისისა**).

3. „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებით ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) **ნელი ახვლედიანი** - ბსუ-ს ასოც. პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2) **მედეა დიასამიძე -** ბსუ-ს ასისტ. პროფესორი, წევრი;
3) **ნინო სამინიძე** - ბსუ-ს ასისტ. პროფესორი, კომისიის მდივანი.

4. სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2021 წლის 19 მაისიდან 21 მაისის ჩათვლით**.

5. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიებმა იხელმძღვანელონ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-02/59 ბრძანებითა და წინამდებარე დადგენილებით.

6. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და საკონკურსო კომისიების წევრებს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**